სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/65 20.08. 2020 წ.

მაგისტრანტობის კანდიდატთაგან სარეგისტრაციო საბუთების ნუსხის დამტკიცების, სარეგისტრაციო ვადებისა და მისაღები საუნივერსიტეტო გამოცდის თარიღის განსაზღვრის შესახებ

2020-2021 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველმა მაგისტრანტობის კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებისა და მაგისტრატურაში მისაღებ საუნივერსიტეტო გამოცდებში მონაწილეობის მიღების სურვილის შესახებ (განცხადება ივსება ადგილზე);
2. პირადობის მოწმობის ასლი, მისივე დედნის წარდგენით;
3. სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმეტის ასლი, მისივე დედნის წარდგენით;
4. საქართველოში გაცემული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომისა და მისი დანართის ასლები მათივე დედნების წარდგენით (მიმდინარე წლის კურსდამთავრებულები წარმოადგენენ ცნობას შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შესახებ ნიშნების ფურცელთან ერთად);
5. სამაგისტრო საგამოცდო ბარათი;
6. ორი ფერადი ფოტოსურათი – 3X4;
7. უცხოენოვან სამაგისტრო პროგრამეზე ჩაბარების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ პროგრამაზე სწავლების შესაბამისი ენის B2 დონის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტი. კერძოდ: ბრიტანეთის საბჭოს სერთიფიკატი, გოეთეს ინსტიტუტის სერთიფიკატი, გერმანული ენის ავსტრიული დიპლომი, ალ. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის მიერ გაცემული ფრანგული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი - (DELF), (TCF), აწსუ ენათა კურსების სერთიფიკატი.
8. მაგისტრატურაში მისაღებ საუნივერსიტეტო გამოცდაში მონაწილეობის საფასურის - 30 ლარის გადახდის ქვითარი; იმ შემთხვევაში თუ მაგისტრანტობის კანდიდატი გამოცდას აბარებს ორ საგანმანათლებლო პროგრამაზე - 50 ლარის გადახდის ქვითარი (საბანკო

რეკვიზიტები: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 709057267).

9. მისაღები საუნივერსიტეტო გამოცდები ჩატარდება 2020 წლის 23 და 24 სექტემბერს.
10. სააპელაციო განცხადებების განხილვა გაიმართება 2020 წლის 25 სექტემბერს.
11. საბუთების მიღება იწარმოებს 2020 წლის 10 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ სარეგისტრაციო კომისიაში. მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. 59, აწსუ I კორპუსი, II სართული, აუდიტორია №1211, 10 საათიდან 17 საათამდე, ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა.
12. უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძემ) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა დეკანატებში, ენათა ცენტრში და შესაბამის სამსახურებში.
13. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა(ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება.
14. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფესორმა შალვა კირთაძემ.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი: ასოც. პროფ. შ. კირთაძე

სასწავლო პროცესის მართვის

სამსახურის უფროსი: პროფ. ი. ბასილაძე